ხელშეკრულება ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შესახებ № 51

ქ. ქობულეთი " 11" ივლისი 2018 წ.

ერთის მხრივ შპს "ტოიოტა ცენტრი თბილისი"-ს დირექტორის მინდობილი პირი გიორგი ზედგენიძის სახით, შემდეგში წოდებული როგორც "შემსრულებელი" და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი" წარმოდგენილი , მისი დირექტორის კობა კობახიძის სახით, შემდეგში წოდებული როგორც "შემკვეთი", ორივე ერთად კი წოდებული როგორც "მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვთანხმდებით ყველა არსებით პირობაზე და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შესახებ.

ხელშეკრულების ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

"გონივრული ვადა" - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ბრალეული გაჭიანურების გარეშე, კეთილსინდისიერებისა და გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, ფიზიკურად შესაძლებელია ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული მომსახურების შეთანხმებული ხარისხითა და მოცულობით განხორციელება.

"სამუშაოს მიღება" - შემკვეთის დავალებით შემსრულებლის მიერ განხორციელებული მომსახურების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, შეთანხმებულ ადგილზე და წესით.

"ხარისხი" - პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულია მხარეთა მიერ ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია და დეტალურადაა აღწერილი წინამდებარე ხელშეკრულების დანართით.

"ხელშეკრულების საგანი" - შემკვეთის დავალებით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შემსრულებლის მიერ შემკვეთის მიერ წარდგენილ სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად შესრულებული სამუშაო.

"დროული გაფრთხილება" - წერილობითი შეტყობინება ამ შეტყობინების წარმოშობიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა ან მხარეთა შორის შეთანხმებულ სხვა ვადაში.

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა შემკვეთსა და შემსრულებელს შორის ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთებისას;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთი ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე წარუდგენს შემსრულებელს სატრანსპორტო საშუალებას/საშუალებებს, ხოლო შემსრულებელი ახდენს სატრანსპორტო საშუალების შეკეთებას შეთანხმებული მოცულობითა და რაოდენობით; CPV 50113100

ავტომანქანა:

ავტომანქანის მოდელი - ტოიოტა ქოუსტერი; ფასი- 2285 ლარი ; სახელმწიფო ნომერი -DHD 679

II. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება განისაზღვრება შემსრულებლის მიერ დადგენილი საერთო ფასების შესაბამისად.

2.2. შემკვეთის მიერ ხელშეკრულების ფასის გადახდა ხდება შემსრულებლის მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე სრულად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.3. შემკვეთი ანგარიშსწორებას ახდენს ინვოისის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

III. განსაკუთრებული პირობები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია გადასცეს შემკვეთს სატრანსპორტო საშუალება სამუშაოთა შესრულების შემდეგ დაუყოვნებლივ, თუ შემკვეთის მიერ სრულადაა შესრულებული ნაკისრი ვალდებულებები, ან გადასცეს ამ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ.
3.2. სატრანსპორტო საშუალების გადაცემასთან ერთად შემკვეთზე გადადის საგნის შემთხვევითი დაღუპვისა და დაზიანების რისკი;

IV. მხარეთა პასუხისმგებლობა
4.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4.2. თითოეული მხარე ვალდებულია ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში. ამასთან, თითოეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ იზრუნოს და უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა;
4.3. მხარეები ცნობენ და აღიარებენ დოკუმენტებს, რომლებიც მათ მიერ შეთანხმებული ფორმით მიღებულია ფოსტით, მათ შორის ელექტრონულით, ფაქსით. აუცილებლობის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტების ორგინალები.

V. დავის მოწესრიგება
5.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ყველა უთანხოება უნდა მოწესრიგდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით;
5.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკებით, მისი გადაწყვეტა ხდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

VI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები
6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღეს და უწყვეტად მოქმედებს ერთი კალენდარული წლის მანძილზე.
6.2. ხელშეკრულება ითვლება ავტომატურად გაგრძელებულად ერთი წლის ვადით, თუ მოქმედების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე რომელიმე მხარე არ განაცხადებს წერილობით უარს ხელშეკრულების გაგრძელებაზე.
6.3. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყველა არსებითი საკითხი, ხელშეკრულების ცვლილებები და დამატებები ფორმდება წერილობითი სახით, ძალაშია მხარეთა ხელმოწერის შემდეგ, დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შემკვეთს, ხოლო მეორე – რჩება შემსრულებელს.

VII. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსრულებელი:
შპს "ტოიოტა ცენტრი თბილისი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 211346220
სს "საქართველოს ბანკი", ცენტრ. ფილიალი
ანგარიშსწორების ანგარიში №
GE83BG0000000121227200
RTGS კოდი № BAGAGE22
მის: მ. აბაშიძის ქუჩა 2
ქობულეთი, საქართველო 6200
ტელ/ფაქსი: 0426 267779
599856445–მობილური (ოფისი)

გიორგი ხიდაშელი
დირექტორის მინდობილი პირი

ტოიოტა ცენტრი თბილისი

შემკვეთი:
ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 444549892

საბანკო რეკვიზიტები
სს სახელმწიფო ბანკი
ა/ა 747877004
ბანკის კოდი :TRESGE22
მის: ქ.ხობი ცოტნე დადიანის N185
ტელ:/ფაქსი: 577602221

კობა კობახიძე
დირექტორი